



თეატრი

№ 44 საყოველ-კვირათ სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი. № 44

2 ბიორგოზისთვის გაქონდა ყოველ კვირათათ 1886 წელსა.

ფასი გაზეთი „თეატრი“-სა ერთის წლით..... 5 მან. Xსსეკვარ წლით.... 3 მან. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქც. კონტორაში ან წარუწესიკულ ქარვას. ფოთში ბ-ნი ბესარიონ კალანდარიასთან.

ცალკე ნუმერი გაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ. ისუიღება: თბილისში: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, შავერდოვის სააგენტო კონტორაში, ალიხანოვის პაპიროზის მაღაზიაში, ხიდის ყურთან. ქუთაისში კილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორრესპონდენციები, ლექსები და სხვა წერილი წერილები. თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა შესწორდებათ. გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ ერთს თვეს. სტატიების უკან გაგზავნას რედაქცია არ კისრულობს. რედაქცია უპორჩილესად სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორთ სტატიები გარჩევით იყენენ დაწერილნი. ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галерея быв. Арцруни № 110.

პართული თეატრი

კვირას 2 ბიორგოზისთვის,

ბანკის (ანწარუწესიკულ) თეატრში ქართუღას დრამატიუღის საზოგადოების დასისახსან წარმოდგენილი იქნება კოტე ყიფიანის მონაწილეობით:

I

ს ა თ ა ბ ა ლ ა

კომედია 4 მოქმ. და 6 სურათად გ. სუნდუკიანციას.

მთაბაშენი: ქქ. ვახუწია-ცაგარღისა, საფაროვი-ბაშიძისა, ლეონიძისა, ტარიელავისა; ბბ. ყიფიანი, აწყურელი, ალექსევი-მესხიევი, მაქსამიევი, და სსვ.

დასაწყისი სწორეთ 7 $\frac{1}{2}$ საათზე.

ბიორგოზია

მობტერი

(გაგრძელება.)

ვოლტერს თავის სიტყვის გატეხა იაფად არ დაჯდომია.გაიგო თუ არა ჟრიდრიხმა გამოჩინილ პოეტის „ხუმრობა“ მაშინათვე ბრძანება მისცა, რომ „ექიმბაში აკაცია“ და კიდევ ბევრი სხვა ვოლტერის სატირები ვოლტერისავე ფანჯრის წინა მოედანზედ ჯალათს დაეწვა ღიღის ამბით და ცერემონიით. ვოლტერი ამ აუტო-და-ტეს თავის ფანჯრიდან უყურებდა და რა თქმა უნდა მის მწუხარებას და სიარაზეს სამზღვარი არ ჰქონდა და იმავე ღღეს გაუგზავნა მეფეს თავისი პენსია,ჯაჰაგირი,ჯილდოები და კამერჰერის გასაღებიც დაუბრუნა და თან მწუხარებით სახეც ლექსიც გაუგზავნა. ფრიდრიხი საზოგადოთ არ იყო შურთან კაცი და თვითონ მიაწოდა ხელიხელ ზესარი-





გებლად. მეფე და პოეტი ისევე დამეგობრდნენ, მაგრამ ვოლტერს ეხლა გერმანია ჯოჯოხეთით ეჯავრებოდა და ყოველი ღონის ძიება მოიხმარა, რომ მალე მოშორებოდა თავის «მფარველს», როგორც შემდეგ ფრიდრიხს უწოდებდა ხოლმე. ვოლტერი ვაჟიდა გერმანიიდან, მაგრამ შევახაში — ფრანფურტში მეფის ბრძანებით დაჭერილ იქმნა. ამ შემთხვევამ მთელი ევროპა გააოცა და აღაშფოთა, რადგან ყველამ კარგათ იცოდა მეფის და პოეტის ახლო კავშირი და მეგობრობა. დაჭერის მიზეზი ის იყო, რომ ვოლტერს, თურმე, ზოგიერთი ფრიდრიხის ლექსები ჰქონია, რომელსაც ვოლტერი, რა თქმა უნდა, პირველივე შემთხვევაში საქვეყნოდ გამოამჟღავნებდა — და კიდევ ამიტომ გააცაბრძანებდა ვოლტერი დაეჭრათ და გაეხრიაკათ მისი ბარგები; მაგრამ ფრანფურტში ვოლტერს ვერაფერი უბოვეს — რადგან მისი ნახევარი ბარგი ჯერ კიდევ ლივციგში იყო. ვოლტერი შინაურულათ დაატუსაღეს, სანამ ლივციგიდან ბარგი ჩამოუფიქროდა. პოეტმა ვერ მოითმინა ბარგების ჩამოტანამდინ და ერთს მთვარიანს ღამეს დარაჯებს გაეცა, მაგრამ ეს უკანასკნელი მისი წინ დაუხედველობაც სრულდებით ამოა იყო, რადგან მეორე ღამევე ხელახლად დაიჭირეს და იქვე უკან ჩამოაყვანეს. სამი დღის შემდეგ ჩამოვიდა ბარგი, მეფის ლექსები იპოვეს და ვოლტერს თავი უფლობა მიეცა. ამ აღიარებითა და დავიდარობამ ისე გააჯაჯა და გაანხლდა ვოლტერი, რომ ერთი კვირა ავად იყო, წამოდგათუ არა ფეხებზედ მაშინათვე მკვო ხელი სატირებს და ჯერ-ჯერობით გამოჯორა ფრეიტალი, მეფისაგან დანიშნული მოხელე ვოლტერის დასაქრათ.

მაგისთანა მაგალითები პირველი არ იყო ვოლტერის თავზედ. ყველგან-სადაც კი ვოლტერს უცხოვრნია — უთუოთ ჰქონია შეტაკება ან პოლიციასთან, ან მთავრებთან, ან სამღვდელობასთან. ვოლტერი ყველგან სცხოვრობდა სადაც კი აღკრძალული არ ჰქონდა. დიდხანს სცხოვრობდა ვოლტერი აგრეთვე გოლანდიაში, სადაც დაიბეჭდა მისი საუკეთესო სატირები და ფილოსოფიური წიგნები, რომლებსაც გავრცელება გერმანიაში და საფრანგეთში სასტიკათ იყო აღკრძალული. ყველა ეს „აღკრძალულებანი“, „კანონები“ და „ხეტიალობა“ ერთი კუთხიდან მეორეში, ერთი ქვეყნიდან მეორეში, ვოლტერის მანვილს ჰკუთხ მასალას აძლევდა. აქ უნდა მოვიხსენიოთ ახალგაზდა ქალი დენი, ვოლტერის ძმისწული, რომელიც ყოველს გაჭირებაში და ბედნიერებაში, მოგზაურობაში და ჩვეულებრივ ვაი-ვაგლანში მუდამ თავის «სანატ-

რელ ძასთან, იყო და ძიაც ისრე უმადლოდოდა. რჩენილა: — შეილოპრივი გრძნობა და შინ შეღებულ ბალზედ ზრუნვა ვოლტერის ერთს უბარველეს წადილს შეადგენდა.

ბოლოს როგორც იყო ვოლტერი, ზევრი ხეტიალობის შემდეგ, დაბნედა ერთს აფგილს, შეეცარია ში ენენის მახლობლათ, ფერნეიაში. აქ ეჯა იწყება ვოლტერის სულ სხვა ნაირი ცხოვრება, სულ სხვა ნაირი შრომა, სულ სხვა ერა. —

ამ დროს როდესაც ვოლტერი ფერნეიაში დასახლდა, ფერნეია უბრალო სოფელს ჰგენდა, სადაც ხუთი ოღე გლეხის სახლობის მეტი არაფერი იყო. მაგრამ ვოლტერის დაბინავების შემდეგ ფერნეია დაეკმგავსა ნამდვილს ქალაქს. ვოლტერმა ისეთი სახლი ააშენა, რომელიც არც ერთს მეფის სასახლეს არ ჩამორჩებოდა სიდიდით და სიმშვენიერობით. მართალია, ვოლტერმა დიდ-ძალი ფული დამარბა ფერნეიაში, მაგრამ ეგ ხარჯი უნაყოფოდ არ ჩასულა. რამდენიმე წნის შემდეგ ვოლტერის მეცადინეობით და შრომით ფერნეია უბრალო სოფლიდამ შესანიშნავი ქალაქად გადიქცა. ვოლტერმა ბევრი სხვა-და-სხვა სასარგებლო და დროს შესამჩნევი შენობათა შორის თესტრიც ააშენა, რომლის მოწყობილება დეკორაციულის და ეკსესუარების მხრით პირველი იყო მთელს ევროპაში. ამ თეატრში ვოლტერის ხელმძღვანელობით თამაშობდნენ გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებს. კორნელის, რასინის, მალოლიერის და თეიტონ ვოლტერის პიესებმა სამუდამო ბინა დაიმკვიდრეს ამ თეატრში. გარდა ამისა ვოლტერი ხან-დხან სასცენო ხელოვნების ლექციებსაც ჰკითხულობდა, რომელსაც დიდი სარგებლობა მოჰქონდა მაშინდელი არტისტებისათვის. გარდა ამ შენობათა ვოლტერმა ააშენა აგრეთვე ეკლესია. საეკლესიო ყოველის მხრით მოწყობილი იყო, მაგრამ წირვა კი ხშირად იმართებოდა, რადგან ვოლტერი და სამღვდლოება მუდმივი ჩხუბში და შეტაკებაში იყვნენ. დასახლდა ვოლტერი ფერნეიაში და მაშინათვე შეუდგა შრომას. ყველა მისი ნაწარმოები, რომელნიც ეკუთვნის ფერნეის ყოფნის დროს, ყოველად სრულნი არიან. ეხლა ვოლტერი უფრო დაღაცებული და დადინჯებული კაცი იყო.

ვოლტერი მოხუცდა, მაგრამ სიბერე თითქოს არ უგრძენიაო, ჭაბუკური აღტაცება და ყმაწვილური გულწრფელობა არც სიბერით და არც ცხოვრების მწარე ფილის დაღვეით არ შორდებოდა. მუდმივი ხუმარა, ენამჭერვი, ჰკვიანი, ზრდილობიანი, პურ-მარილიანი — უცხო მასპინძელი — აი ვოლტერის განსა-

კუთრებული თე-სება. თუმცა ვოლტერი მოშორდა დიდს ქალაქებს ფერნეიაში დაბინავების შემდეგ, მაგრამ აქაც ისეთივე ცხოვრებაში და ფუფუნებაში იყო, როგორც პარიზში, ბრიუსელში, ბერლინში და ტურინში. მისი პატივის მცემელნი ქალნი და კაცი, მდიდარნი და ღატაკნი, ხარისხოვანნი და უბრალო მომავლადნი, გვირგვინოსანნი და მდაბიო გლეხები, ყველანი განურჩევლად ვოლტერის სანახაუდ მოდიოდნენ ფერნეიაში. ყოველ დღეს ოცდაათი, ორმოცსტუმარი უთუოთ ჰყვანდა. წიგნებით, წერილებით, ბარათებით და სხვა-და-სხვა მიწერ მოწერით დაგუბებული იყო ვოლტერის კაბინეტი. ვოლტერის სიყვარულით და პატივის ცემით ფერნეიაში ბევრი არისტოკრატებმაც აიშენეს სახლი და ამ რიგათ ფერნეია დღე დღეზე მატულობდა სიგრძე-სიგანეში, მცხოვრებთა სიმრავლეში და სიმდიდრეში. —

ვოლტერი ამ ხანებში უფრო მტკიცე და ბეჯითითა თავის განზრახვებში და მოქმედებაში. იგი უშიშროდ, საჯაროდ ქადაგებს სიმართლის დაცვაზე, სიყვარულზედ, ნამდვილ ღვთის რწმუნებაზედ, ზოგიერთი კანონების უსამართლობაზედ, მძლავრობის თავებდობაზედ და პარტეიანთა ჭირვეულობაზე. ყველანი ცახცახებენ მისი მახვილის კალმის წინაშე. ვოლტერის კიცხვა და კილვა შეუბრალებელია. მისი კაცადმი სიყვარული უზომოა. კაცთ მოყვარება ვოლტერისა და გულ სიხვილე სწორედ საოცარია. იგი ყოველს საშუალებას ხმარობს, უმართლოდ დაჩაგრულის და შეურაცხყოფილს დასაკველად. ამისი მაგალითები არ, ერთი და ათი ყოფილა, აი სხვათა შორის ერთი მაგალითი: ტულუზაში სცხოვრებდა ერთი 70 წლის მოხუცი, ვინმე ჟან კალასი. ჟანს ხუთი შვილი ჰყვანდა და ყველანი პროტესტანტის სარწმუნოებისა იყვნენ, მაგრამ უნცროსმა შვილმა ქათოლიკური რჯული მიიღო; რამ აიძულა ეს ყმაწვილი რჯულის გამოცვლაზედ არ ვინ იცის, ხოლო მან ბავშობიდანვე იჩინა თავი თვისის ურცხოებით და გარყვნილის ცხოვრებით. მუდამ მთვრალი და ყელამდე ვალში გახლართული ანტონიო ვერაფერი შვილი იყო თავის ოჯახობისათვის... ერთს ღამეს ანტონიომ თავი ჩამოიღო რაღაც ვალებისათვის და ვიღაცა როსკიპილიაცისგულისთვის.. მართებლობამ შეუდგა გამოძიებას და მაშინათვე მოხუც ჟანს სტაცეს ხელი, უთუოთ შენ მოჰკლავდიო, რადგან შენმა შვილმა ქათოლიკური რჯული მიიღო. მოხუცებულმა მამამ ბევრი ცრემლები ჰღვარა ამ უფნური და უკაცური გამტყუნებაზედ—მაგრამ ყოველივე ამოიყო. სად, ან ვინ იყო სიმართლის გამკონე? სამსჯავ-

რომ მოხუცებულს, 70 წლის მამას გადაუწვევდა კვლით დასჯა—ცეცხლზედ დაწვა. მოხუცებული დედა თავის შვილებით საპრობილეში ჩასვე:—და აქ ჩვეულებრივის მანქანებით ყველას ქათოლიკური სარწმუნოება მიალბინეს. აი სწორედ ამ დროს ეკუთვნინან ვოლტერის გამოჩენილი წერილები რჯულზედ და სარწმუნოებაზედ. ვოლტერმა გაიგო თუ არა ეამბავი, მაშინათვე შეუდგა კალასის საქმეს. ვოლტერმა მოიმხრო მთელი განათლებული ქვეყანა. მთელი ეროპა თხოლობდა ვოლტერის თაოსნობით, რომ კალასის საქმე ხელახლათ გაეჩხრიკათ და მართლაც ტულუზის სამაჯვრომ საქმე ხელახლათ გამოიკვია. საქმიდამ აღმოჩნდა, რომ ჟან კალასი ტყვილათ დაუწვამთ და მიაი ოჯახობა ტყვილად აუოხრებიათ, რადგან ანტონიოს თავის ხელით დაუღრჩვია თავი. ამ გვარად ვოლტერმა, თუმცა საწკალი ბერი-კაცს ვერაფერი უშველა და სიკვდილისაგან ვერ დაიასნა, მაგრამ მთელი ოჯახის და გვარობის პატიოსნება და სიმართლე ისევე ფეხზედ წამოაყენა. აი რას ამბობს ვოლტერი ერთა წერილში: «ამ საქმის დროს ჩემ სახეზედ ღიმილს არ გაუღლია. მე საგნად მქონდა პატიოსანი ოჯახისათვის პატიოსნებას დაბრუნება და ჩემს თავს უნამუსოდ ჩათვლიდი, რომ უბრალოდ დაჩაგრულს არ დაესაჩხლებოდი.»

ვალიკო—ია

პოეზია.

* * *

მტკვარი მოღუფავს, ზვირთები
დუდუნით მოიმკურანს,—
პატარა გროვა ბიჭების
სურადგან გადმოსტეკრანს.

თვალს უშტერებენ სუშუქად
თავქვე მიმავალ ტაუკუსა,
შორსა აუღლენ ცოცხალი
მეტუკვლურ თვალის სხაუკუსა.

„მტკვარო, ნუ ღუფავ! ქარო, შენც
გრძალი დაიდუნეო...“

ზაყელი

ს უ რ ა თ ი

ერთსა მიუყუყულ ადგილას,
სოფლიდგან მოშორებულსა,—
სასაფლაოა ჰატარა,—

სიტუნივით გარე-მოცულსა.
მას ერთი გვერდით ტყე ხსლავს,

აქეთა—ვენახ-ბაღები,

აქვე მდებარნი მოსახანნი

ტურფა, კეკლეუცი, საღები,

დღისით ისმოდან ამ ტყიდგან
სირთა ხსავს-და-სხვა სტეპნანი,

ღამით იცავდა მის არეს

ბუღბუღის მღერა-კენესანი...

როს ღამით მთვარე მოჭყენდა

თვისს ბადროკანე სხივებსა

და ია, მისი აშოვი,

მორცხვად მოჭხრიდა კისურსა;

როდესაც ცაში ვარსკვლავნი

იწყობდნენ ციმ-ციმ ღამ-ღამსა

და ერთმანერთსა ესროდნენ

სამურსად მითამ ღასკარსა;

როს მისწყდებოდა ხაზით ფეხი,—

არსით ისმოდან სრიალი

და აქ-იქ სეთა ფოთლების

ისროდან მხოლოდ შრიალი;—

მამინ მორთობდა მკოსანი

სიმღერას, სუკდის მომწყველსა,

იწყობდა სტეპნ-კენესასა

ყოველის დარდის მომკვლელსა...

მუნ გვერდით მიჩან-რახებდა

წინათ თამაშით ნაკადი

და თვისს გარემოს ეტრფოდან,

ჭქონდა ცეკვა და ნაკადი...

ჭხარობდა ყოველი გარემო,

ჭხარობდნენ ტურფა მდებარნი,

ჭხარობდნენ ვეულა სუბი,

ცასა უწვდოდან წვერონი...

კ. ნ — ვ — ღ. ი

ხალხური ჰერეზია

(ქართლში გაგონილი)

ადგა, წავიდა სოლოღან, დადგა სტამბოლის გზასკდა,
შვიდი დღე-ღამე იარა, ისე გავიდა ზღვასკდა,

სონთქარის კარზედ მივიდა, გუზირი დახვდა, ^{კარზედ}
შეიპატაეს სოლოღან დასვა ხალხის თავსკდა.

„სოლოღან რისთვის გარჯილხარ ამ დიდი სონთქარის
კარზედა?“

„—რა მოგახსენო, ბატონო, სხივანი მაქნ წამოქვდა.“
„სოლოღან მიელ გიქებენ ჯიბითის გასროლასკდა,

ერთი არაბი ჩვენცა გვეყვს, გათქმული ქვეყნასკდა.
თუ შენ ამას ეჯიბითო თუშობს დაგადგემ თავსკდა;

ფაშობასც დავიმტკიცებთ ამ ასაღრისის კარზედა!
„—მე ჯიბითისა რაიჭა, გავზდილხარ გურჯის მთასკდა.“

„არ მეშეებან, სოლოღან, გაგიყვანენ ხალ თუ შეგა.“
„—რასან არ მამეშეებან, ასე ი ცხენი მამეგარეთ, არ ყელს
ქვეყნასკდა,

ეგდას ოქროს უნაგირი, აღმასა ერჭოს თავსკდა;
შვიდ მეჯინიბეს ეჭიროს, ისეკ დგებოდეს კალსკდა.“

ოქ-შაფათ დილა გათენდა, გავიდნენ შეიდანსკდა.
მოდის, მოხუცის არაბი, ვათ შავრდენი ცახკდა,

ტურფათ მოაქნეს ჯიბითისა იმ გამაგებულ მელასკდა.
არაბულათ წამოსწყვილან, სონთქარი შესძრა ტანსკდა:

„არაბი გამეჭვც, სოლოღან, სამი ჯიბითის კვარსკდა!“
გაჭკანა, გაჭკანა სოლოღან, არაბი მისდევს კვალსკდა,

სამი ჯიბითი ესროლან, ერთი არ იკრა ტანსკდა.
„—ახლა, არაბო გამეჭვც ერთი ჯიბითის კვარსკდა;

მე ერთის მეტსა არ გავსარი, აი ღვთის სამართლესკდა.“
გაჭკანა, გაჭკანა არაბი, სოლოღან მისდევს კვალსკდა,

ერთი ჯიბით შესტყორცნა, დასვა ბუკის ფრთასკდა.
არაბმა გადმოიწია, დადგა ცალ უსანგოსკდა:

არაბი ძირს გადმოვარდა, სული ამოხდა წამსკდა.
სოლოღანი დაიბარეს, ფეხები მიაქნ განსკდა,

„აღა, აღა გურჯი, ყოჩხა, ქისებს აბერტენ თავსკდა.
დასასწოქეს, გავსტუმრეს, შესვეს არაბის ცხენსკდა.

ვახტანგ მივე წამობმანდა, თან წამოყვა დიდი ჯარი.
ატენის ბოლოს მოვიდნენ ამოდენა ღვინათ შთვრდანი,

გორიჯვარში ჩამობმანდნენ, არ ილოცეს გორი ჯარი.
ზედვეულასკდა შეიბმენ ოსმალო და თუშის ჯარი:

შესვლასკდა მოკლეს სამოცი, აადინეს სისხლის ღვარი.
„ამ ოსურმა გიორგიმ რასკდა ამოგდო გვარი,

ან შეიღმა, ანუ მამამა რასკდა დაიხრეს თავი?
ვალადებულმა ცხრა მოკლა, მეტე იმას მოსჭრეს თავი.


დედას გაცი მივიდა, ვალადებულ მოგვქეს მკვდარი.
„გაი, შეილო ვალადებულო, ვინ შენა და შენი სმალი!

შეილო ქორწილს გიბირებდი, უნდა მომეყვანა რძალი;
ტასტი შეეჭკან ჩაღაღდისა ოქრო-მკვრდით მოჭარგული,

ზედ ბატონი რძალი დაესვი. ააღქანით შეკასმული.
იზილასმა გაიგონა, გაიშალა გიშრის თმანი;

ონახანუმ გაიგონა, თავს დაისხა ქალას ჭირი.
(შეგრებილი ანსტასია თავდგირიბისაგან)

517-594 იბ ნებ F 25



უ ე ლ ე ტ ო ნ ი მ ო თ ხ რ ო ბ ა ნ ი

ქანოტი და კოლინი

ვოლტარის მოთხრობა

ფრანგულით ნათარგმნი

რამდენიმე სარწმუნო პირი ხედავდა ქანოტს და კოლინს ისაურის ქალაქის სკოლაში, ამ სკოლებით და ქვაბებით განთქმულს ქალაქში. ქანოტი შესანიშნავის ვირების ვაჭრის შვილი იყო და კოლინი უბრალო მეურნის შვილი, რომელიც ოთხის ჯგორით უფელიდა თავის მამულს და მოსაფალის სახლში შეტანის და სხვა-და-სხვა ხარჯის გასტუმრების შემდეგ, თავს მდიდრად ვერ ჰპოვებდა.

ქანოტს და კოლინს ერთ-მანერთი უყვარდათ და მათს ქვეყაში სუფევდა იმნაირი მოურდებლობა და თავისუფლება შენ, რომელსაც აღტაცებით იგონებენ მომავალ-ცხოვრებაში ვედრის დროს.

მათ სწავლის დრო უთავდებოდათ, როცა ქანოტს მკერვალმა სამ-ფერის, შეწიერის ხავერდის ტანისამოსი მოუტანა. კოლინი ტანისამოს აღტაცებაში მოჰყავდა, მაგრამ-კი არ უშურდა! ქანოტმა მედიდურობა დაიწყო. იმ წუთითგან აღარა ფერი უსწავლია; სარკეში ლამაზობდა და მთელს ქვეყანას ზიზღით უყურებდა. რამდენისამე ხნის შემდეგ ფოსტის მოსამაახურემ მას მარკიზ ღე-ლა-ქანოტიერის წერილი მოუტანა. მამა მას პარიზში იბარებდა. ქანოტი ეკიბაქში ჩაჯდა და მფარველობის, მედიდურის ღმირით კოლინს ხელი მი სცა. ამ საქციელით დაჩაგრულმა კოლინმა ტირილი მორთო.

მკითხველებმა, რომლებსაც სუყველაფრის შეგნება უყვართ, უნდა იცოდნენ, რომ ბ. ქანოტმა-მამამ უცებ აუარებელი ქონება შეიძინა. იკითხავეთ, უეჭველია, რით იძენენ ქონებას? რით და ბედით. ბ. ქანოტი კარგი მოყვანილი კაცი იყო, ვგრეთვე მის ცოლიც, რომელსაც ამას გარდა სიცოცხლეც შერჩინოდა; ისინი პარიზს წავიდნენ იმ პროცესისთვის, რომელიც მაგრამ ბედმა, რომელიც კაცს ხან უღიმის, ხან უწყურება ესენი ერთს ჯარს ჰოსპიტლის მეიჯარეს გააცნო ტაცებდა დიდის ნიჭის კაცთან რომელსაც თამამად შეეძლო დაეტრაბახნა, რომ მას ერთს წელიწადში იმდენი სოლდათი მოუკლავს, რამდენსაც ზარბაზანი ათში ვერ მოჰკლავს. ბ. ქანოტის

ცოლს მოსწონდა, ქანოტის ცოლი-კი ბ. მეიჯარეს; მალე ქანოტი იჯარაშიც შეუამხანადა; მერე სხვა საქმეებსაც მოჰკიდა ხელი: როცა საქმე გაჩაღხულია, მაშინ თავი უნდა მიანებო ქონება თითონ მატულობს. ლატაკები გამტერებულის და ვაკვირებულის თვალით იყურებიან: თქვენის გამდიდრების მიზეზი ვერ შეუგნათ და სუყველაფერს შემთხვევას აწერენ, თქვენს წინააღმდეგ წერენ ბროშურებს, რომლებსაც თქვენ არც-კი კითხულობთ. პატარა ხანს უკან ქანოტი-მამა ბ. ღე-ლა-ქანოტიურად გადაიქცა, ექვსის თვის შემდეგ მარკიზის ღირსებაც იყიდა და ბ. მარკიზი-მისი შვილი, სკოლითგან გამოიყვანა, რომ პარიზში რიგიანს ხალხთან ყოფილიყო.

გულით მოყვარული კოლინი თავის ძველს ამხანაგს ბოდიშით წერილებს წერდა, მაგრამ პატარა მარკიზი ყურსაც არ იბერტყავდა, — მწუხარებამ კოლინი ავად გახდა.

ღელ-მამამ შვილს გუვერნერი დაუქირა. ამ გუვერნერს, თუმცა რიგიანი გარეგნობა ჰქონდა, მაგრამ უმცრობის გამო არაფრის სწავლება არ შეეძლო. ვაჭ-ბატონს უნდოდა, რომ მის შვილს ლათინური ესწავლა, ქალბატონს-კი არა. გასამართლება თხოვეს ერთს მწერალს, რომელიც მაშინ თავის ნაწარმოებით განთქმული იყო. სადილად დაპატიეს. სახლის პატრონმა დაიწყო: “ბ. რადგანაც თქვენ ლათინური იკით და განთქმული კაცი — მე, ბატონო, ლათინური?! ერთი სიტყვაც არ ვიცი და ღმერთმაც დამიფაროს, უპასუხა უმეცარმა განთქმულმა, კაცი მაშინ ლაპარაკობს რიგიანად, როცა ის თავის ენას სხვა უცხო ენებში არ ურევს: აი, მაგალითად ჩვენი ქალები, — ისინი ბევრად ჰკვიანები არიან ვაჭებზედ და მათი დაწერილი წერილი გამოკრებით სჯობია ვაჭის დაწერილს, რათა? მათა რომ ქალებმა ლათინური არ იციან. — ხომ ხედავ? მართალი ყოფილვარ თუ არა? თქვა ქალბატონმა, მე მინდა ჩემი შვილი ჰკუთით ვატენილი იყოს, ცხოვრებაში გაიმარჯვოს და ლათინურის ცოდნით, როგორც ხედავთ, დაიღუპება, ერთი მითხარით. ლათინურად როდისმე უთამაშნიათ კომედია ან ოპერა? რამე პროცესში ლათინურად გამართლებიათ თავი? ან გამოუცხადებია როდისმე ლათინურად სიყვარული?”

ამ საბუთებით დაჯერებულმა ბატ. ქანოტმა დასკვნა, რომ ყმაწვილი ციცერონის, ჰორაციურის ვირგილიუსის სწავლაში ტყუილად დაკარგავს დროს. „მაგრამ რას ისწავლის? რადგანაც საჭიროა რამე ისწავლოს გეოგრაფიის სწავლა არ შეიძლება? — რის მაქნისია, უპასუხა გუვერნერმა;



საქართველოს
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აкадеმიის
გამომცემი

როცა ბ. მარკიზი მამულის დასახედავით წაბძანდება, ხოლმე ფოსტალიონს გზა არ ეცოდინება? რისი არ დაბნევიან; მთელს ქვეყნის შემოვლა მეტია და პარიზითგან ოვერში წასვლისათვის რა საჭიროა გეოგრაფიულის სიგანის ან სიგძის ცოდნა? — ჭკუასთან ახლო ხარ, უპასუხა მამამ, მაგრამ მე გამიგონია ერთი მშვენიერი მეცნიერება, რომელსაც, მგონია ასტრონომია ჰქვია. — რა სურვილია! განა ვინმე მოსულა ვარსკლავითგან? და განა მარკიზმა დაბნელების დროს გამოანგარიშებით თავი უნდა მოიკლას, როცა ის სუყველაფერს იპოვის ესრედ წოდებულს აღმანახში, რომელიც მას; ამას გარდა, მოძრავის უქმეების დროს, მთვარის და ევროპის პრინციპების ხროვანობასაც შეატყობინებს? —

ქალბატონი სრულებით გუვერნერის აზრისა იყო; პატარა მარკიზმა სიხარულით აღარ იცოდა რას ჩაიღოდა, მამა-კი ექვიანობდა: „მამ რა უნდა ისწავლოს ჩემმა შეილმა, თქვა მან? — იმან უნდა შეისწავლოს მოწონების ხელობა; თუ მას მოწონების საშუალება ეცოდინება, მაშინ სუყველა შეეძლება. ეს იმისთანა ხელოვნებაა, რომელსაც ის თავის დედასთან ისე შეისწავლის, რომ არც ერთი შეწუხდება, არც მეორე.“

„ცხადად ჩანს, უთხრა ქალბატონმა უმეცარს განთქმულს, რომ თქვენ მეტის მეტის განათლებული საზოგადოების კაცი ხართ; ჩემი შეილი თქვენი მოვალე იქნება თავის აზრისათვის, მაგრამ ცოტა ისტორია რომ იწოდეს, ურიგო არ იქნება. — რის გამოსადეგია უპასუხა მან; ნამდვილი სასიამოვნო და სასარგებლო დღიური ისტორიაა; მთელი ჩვენი ძველი ისტორია, როგორც ერთმა ჩვენმა მეცნიერმა თქვა, შეთანხმებული ზღაპარია და საშუალო-კი ისეთი არეულია, რომ ვერაფრით დაუღაგებიათ; ან არა და რათ ეპიტნავენა თქვენს შეილს შარლ დიდმა საფრანგეთში 12 პერობა როგორ დაარსაო, ან მის შეილი ბლუ იყო თუ არა. — მაგაზე უკეთ ნათქვამი არა გამიგონია-რა, თქვა მუვერნერმა; ათასის უსარგებლო საგნებით ყმაწვილს ტენის უნზობენ, მაგრამ სუყველაზე სულელური და ყმაწვილის ტენის დამხმეელი მეცნიერება. ჩემის აზრით, არის გეომეტრია; ამ სასაცილო მეცნიერებას საგნად ზედაპირები (*Surface*) ხაზები, და წერტილები აქვს; უნდა ერთს წრეში (*cercle*) ათასი მრუდე და ერთი სწორი ხაზი წარმოიდგინოთ, ისე რომ სწორი ხაზი მრუდეს, მცირე ოდნად ეკარებოდეს დეთის გულისათვის მითხარით, რა წარმოსადგენია ეს, როცა სინამდვილეში, ბუნებაში ამისთანა არა არის რა, ვიმეორებ, გეომეტრია საძაგელი დაცინვის

მეტი არა ფერია. ბატონი და, ქალბატონი თუმცა ზგერი არ ესმოდათ გუვერნერის ლაპარაკისა, მის აზრისანი იყვნენ. „ბ. მარკიზისთანა კაცმა მშრალის მეცნიერების სწავლით თავი არ უნდა შეიწუხოს; თუ ოდესმე მიწის გაზომა მოუნდება, ფულითაც შეიძლება, თუ მოინდომა გაიგოს სიძველე თავის ჩამომავლობისა, რომლის დასაწყისი ძრიელ შორს არის, ბენედიკტის მოიწვევს; ერთის სიტყვით სუყველაფერი ფულით მოხერხდება. ბედნიერად დაბადებული კაცი, არც მხატვარია, არც მემუსიკეა, არც არქიტექტორია არც სკულპტორი, მაგრამ ის თავის სიბრწყინვალით იმათ წარმატებას შეეღის. რასაკვირველია, მფარველობა ჯობია სწავლას, საჭიროა მხოლოდ ბ. მარკიზს გემოვნება ჰქონდეს განვითარებული. აი ამისათვის აქეთ საბუთი მათ, რომელნიც ანზობენ, რომ კეთილ შობილმა ხალხმა (მე ამას მდიდარს ხალხს ეუძახი) სუყველაფერი უსწავლელოთ იცისო, რადგანაც ხან-გოდლოთ ბაასობენ მანზე, რასაც აკეთებინებენ და რაშიაც ფულს აძლევენ.“

ამის მერვე უმეცარმა განთქმულმა აღლო სიტყვა: „თქვენ ძრიელ კარგად შეამჩნიეთ ქალბატონო, რომ კაცის მიხანი ცხოვრებაში გამარჯვებაა; ერთი მითხარით ამის მიღწევა მეცნიერების ცოდნით შეიძლება? განა რიგიანს საზოგადოებაში.“

გეომეტრია? ე. ლაპარაკობენ? უკითხავთ ვისთვის-მე, მზესთან დღეს რა ვარსკლავი ამოვაო? — რასაკვირველია არა, უპასუხა ქალბატონმა მარკიზ დე-ლა-ჟავოტიერმა, რადგანაც ის ცოტად თუ ბევრად იცნობდა დიდ საზოგადოებას. ბ. ჩემმა შეილმა თავის ნიჭი იმ საძაგლობით არ უნდა დაიხშოს, მაგრამ მაინც რამე უნდა ისწავლოს; კარგია, როგორც ჩემი ქმარი ანზობს, როცა ყმაწვილი კაცი შემთხვევის დროს თავს გამოიჩენს მე აბატისაგან გამიგონია ერთი შესანიშნავი მეცნიერება, მხოლოდ სახელი დამეფიწყდა, მგონი გ — ანით იწყება. — განით ქალბატონო? გეოდეზია ხომ არ არის? — არა, ის გეოდეზიას არ მელაპარაკებოდა; ის მეცნიერება, როგორც გითხარით განით იწყებოდა და კ — ანით თავდებოდა — აჰ! ეხლა-კი მიხედი, ეგ ჰეროლდაკაა, კემმარიტად ღრმა მეცნიერებაა, მაგრამ, მას აქეთ, რაც ეკიპაჟების კარებზე ღერბების ხატვა გადაეარდა, ეგ მოლაში აღარ არის, თორემ უამისოდ ეგ მეცნიერება განუსაზღვრელია, ეხლა-კი დალაქი არ არის, თავი-ღერბი არ ჰქონდეს და მოგვხსენებათ, რაც ვრცელდება მნიშვნელობა ეკარგება.“

ბოლოს, როცა ყოველს მეცნიერების მძიმე და მძალტვე მხარეები აწონეს, გადაწყვიტეს, რომ მარკიზი

ქვემოთაა
ქვემოთაა

ცეკვას ისწავლის, ყოველი ფრის შემძლე ბუნებამ
ყმაწვილი დასაჩუქრა ერთის შესანიშნავის ნიჭით რა-
მელიც მალე გამოაშკარდა, — ეს ფილდელების ჩინებუ-
ლად მღერა გახლდათ.

ქ. მარკიზმა წარმოიდგინა, რომ ის გამოჩენი-
ლის კაცის დედა იყო და პარიზის მოწინავე საზოგა-
დოებას სადილი გაუყვია.

ყმაწვილს კაცს თავი აერიო; ლაპარაკს მიიჩვია
და ყურის გღებას არა. დაინახა რა შვილის ასეთი
არა მკითხა მჭერ-მეტყველობა, მამა ძრიელ ნაზობდა,
რომ ლათინური არ ასწავლია. შვილს, რადგანაც ლა-
თინურის მკოდნემ უმეცარის განთქმულს სიტყვით,
კოტა-ლაპარაკი იცის; დედა-კი, რადგან უფრო კე-
თილ-შობილი მოსწრაფება ჰქონდა, შვილს ბოდის
ხდიდა ამასობაზე აკრძალული ნაყოფიც იხილა და
კაცს ეს უფრო ძვირად უჯდება, ვიდრე სხვა რამე;
ფულის ხარჯვას გაუსვა ხელი იმ დროს, როცა მის
მშობლები ცდილობდნენ კეთილ შობილურად ეცხო-
ვრათ.

ერთს ახალ-გაზდა ქერივს ქალს, რომელსაც
ძრიელ შესუსტებულა ქისა ჰქონდა, უნდოდა ბ. და
ქბ. დე-ლა-ჟანოტიერების ქონება დაღუბისაგან დაე-
ფარა და მერე, პატარა მარკიზის შერთვით, მის ხელ-
ში მოეგდო ქალმა ყმაწვილი მიიჩვია, შეაყვარა თა-
ვი და აგრძნობინა, რომ ის მას გულგრილად არ
უყურებს, ალტაცებაში მოიყვანა და ბოლოს აღვი-
ლად დაიპყრო; ხან აქებდა, ხან სარჩევს აძლევდა
და ამავე დროს ყმაწვილის მშობლებს უახლოვდებო-
და. ერთმა ხანში შესულმა მეზობელმა ქალმა ყმა-
წვილის მშობლებს ქარწინების სიტყვა ჩამოუვლო;
ისინი ამი თანა ბრწყინვ ლე კავშირით გტაცებულნი,
სიხარულით დათანხმდნენ.

ყმაწვილი მარკიზი ირთავდა ქალს, რომელსაც
თაყვანს ცემდა; მეგობრები უღოცაგდნენ; ქორწილი-
სთვის მზადება დაიწყეს, შეიქნა მისვლა-მოსვლა, კა-
ბების კერვა და სხვანი.

ერთს დილას თავის დანიშნულის წინ დაჩოქი-
ლი მარკიზი, ტკბილი ბაასით მომავალს ბედნიერ-
ების დასაწყისს იგემებდა ისინი თავის მომავალს
ცხოვრებისათვის ჰუმეჭობდნენ; უცებ ქბ! მარკიზის მო-
სამსახურე, თვლში გახეთქილი შემოვარდა, „აი ახალი
ანბავი, სთქვა მან: ბოქაულები და ქალბატონის
სახლს ცლიან და სუყველაფერს მოვალეებს აძლევენ,
დაჰყდების თაობაზედ ლაპარაკობენ და მე ვცდილობ
ჩემი ჯამბიერი. როგორმე მივიღო. — ენახოთ, თქვა
მარკიზმა, რა არის! — კი, უთხრა ქერივმა, წადით და-
საჯეთ ის საძაგლები, წადით მალე“ გაიქცა; მივიღა

სახლში; მამა მისი დატყვევებული იყო უკვე; მისი
მოსამსახურე თავისთვის ხოხმარკობდა და რაღაც
ძლო ის მიჰქონდა; დედა-მისი ცრემლებსა იღვრიდა;
მას სიმდიდრის, სიბოროტის, ახირებულის ხარჯვის
ხარჯის მეტი არა უფრო შერჩენოდა.

დიდის ხნის ერთად ტირილს შემდეგ შეიღმა უთხრა
დედას. „სულით ნუ დავეცემით; იმ ახალ-გაზდა ქერივს
გაგიჟებთ ეუყვარვარ და ის უფრო გულ-უხვია, ვი-
დრე მდიდარი; მასთან მივდივარ და შენს წასაყვან-
დაც მოვალე“.

საყვარელთან დაბრუნდა და ის ერთს ყმაწვილს
კაცთან ერთად ნახა: „როგორ! თქვა ქერივმა, თქვე-
ნა ხართ, ბ. დელა-ჟანოტიერო, რისთვის მოსულ-
ხართ აქ? განა ეგრე ტოვებენ დედას? წადით იმ უბე-
დურს ქალთან და უთხარით, რომ მე მისთვის კეთი-
ლი მსურს: მოსამსახურე მჭირდება და თუ უნდა
მას უპირატესობას მივცე. — ჩემო ძმაო, უთხრა მის საყ-
ვარელთან მყოფმა ყმაწვილმა კაცმა, შენ ძრიელ
მოტყუებელი უნდა იყო, თუ გინდა ჩემს კომპანი-
აში შემოდი — ადგილს მოგცემ.“

გულ-გაცეცხლებული, გაცოფებული მარკიზი თა-
ვის ძველის გუვერნერის საძებრად წავიდა, უამბო თავი
ამბავი და რჩევა თხოვა. იმან ბავშვების გუვერნერის ხე-
ლობის აღება ურჩია: „საუბედუროდ არა ფერი ვი-
ცი, თქვენც არა ფერი მასწავლეთ და მარტო ქთვენ
ხართ ჩემი მოვალე და უბედურმა ყმაწვილმა ქეთი-
ნი დაიწყო, — რომანები წერეთ. შევერთი ხელობაა
პარიზში, ურჩია ერთმა იქ მყოფმა ქკუს კოლოფმა.

უფრო სასოწარკვეთილი ყმაწვილი კაცი დედის
მოძღვართან წავიდა. ეს ერთობ შესანიშნავი ბერი
იყო, მხოლოდ ქალებს აქცევდა ყურადღებას. დაინა-
ხა თუ არა ყმაწვილი, მაშინვე მიმართა: — ოჰ, ღმე-
რთო ჩემო! ბ. მარკიზო, სად არის თქვენი ეტლი?
როგორ ბრძანდება პატივ-საცემი ქ. მარკიზი“. ყმა-
წვილმა თავის ოჯახის უბედურობა უამბო, რაც უფ-
როც იგებდა, რაში იყო საქმე ბერი უფრო რისხიანად
უყურებდა ყმაწვილს კაცს და ბოლო უთხრა: „ჩემო
შვილო, სიმდიდრე მხოლოდ გული გასახეთქია! ხომ
ღმერთმა უწყალობა დედა-თქვენს და ღმერთმავე გა-
ალატა? — დილ ბატონო. — ეგ უკეთესი, მას ეხლა
ცხონების იმედი უნდა ჰქონდეს? მაშინვე ხალხის
მიხედვების იმედი არ უნდა ჰქონდეს ნახევადის ჩემო
შვილო; კარის ქალი მიცდის.“

მარკიზი სიკვდილს ნატრულობდა; ყველა მის
ამხანაგები და მეგობრები იმ ნაირად სჯიდნენ, რო-
გორც სხვები, ისე რომ ამ ერთს დღეში უფრო კარ-

საქართველოს
გეგლიოროთიკა

გად გაიწო ქვეყნიერება, ვიღრმე მთელს თავის სი-
ცოცხლეში.

ამ მწარე ფიქრებში გართულმა ყმაწვილმა შეამ-
ჩნია, ერთი ძველებური ორ ალაგინი ეტლი, გადა-
ხარდახებულის ურემის მსგავსად და ოთხი დატვირ-
თული ურემი. ეტლში მდიდრულად ჩაცმული ყმა-
წვილი კაცი იჯდა; მის რგვალი და სუფთა პირის სა-
ხე სიწყინარით და ყმაყოფილად გამოიყურებოდა;
შეპყრილს მარკიზს შინჯადენ: „ოჰ, ღმერთო ჩემო!
დაიძახა ვაჟმა, ეს, მგონი, ჟანოტია“ ამ სახელზე მარ-
კიზმა აიხედა; ეტლი გაჩერდა: „ეს თითონ ჟანოტია“
ჟანოტი, ჟანოტი!“ ერთის თვალის დახამხამებაში ის
ჟანოტთან იყო და ეხვეწოდა. ჟანოტმა კოლინი იცნო
და სირცხვილმა და სრემლებმა დაფარეს მის პირის
სახე; „შენ მე მიმატოვე, თქვა კოლინმა, დიდ კაცო-
ბისათვის, მაგრამ სუყოველთვის მეყვარები.“ შერცხვე-
ნილმა ჟანოტმა ტირილით უამბო თავის ისტორიის
ერთი ნაწილი. „წამოდი ჩემს სადგურში და დანარ-
ჩენი იქ მიაშვებ, უთხრა კოლინმა; მოეხვიე ჩემს ცოლს
და სადილის საკმელად წავიდეთ.“

სამივე ფეხით წავიდენ და ბარგი უკან მისდევ-
დათ.—ვისი რა არის ეს! თქვენია? კი ჩემი და ჩემის
ცოლია, ჩვენ სოფლიდგან მოვდივართ; იქ მაქვს
ერთი რკინის და ერთი სპილენძის ქარხანა; ერთის
შედგენების ვაჭრის ქალი შევირთე და ღეთის მად-
ლით ჩვენი საქმე კარგად მიდის და ყმაყოფილებიც
ვართ. შენც გიშველით; შე დალოცვილო, მარკიზი
ნულარ იქნები: წამოდი ჩემთან სოფელში, ხელობა
ისწავლე და წილს მოგცემ და ჩვენ მხიარულად ვი-
ცხოვრებთ იქ, საცა დაბადებულები ვართ. მთელს
ქვეყნის სიმდიდრე ერთს მეგობრად არა ღირს.“

ჟანოტმა ირ იცოდა რა ექნა—ემხიარულა, თუ
ეწუხნა; ბოლოს დაბალის ხმით თქვა: „ყველა ჩემმა
ვითომ-და მეგობრებმა გაკირვებაში მიმატოვეს და
კოლინი-კი, რომელსაც ზიზლით ვუყურებდი, ჩემს
საშველად მოვიდა, რა გულკეთილია!“ კოლინის კე-
თილმა გულმა გააღვიძა ჟანოტში ის ნასახი, რომ-
ელიც ჯერ ცხოვრებას არ დაეწყო—მან იგრძნო,
რომ მშობლებს ვერ მიატოვებდა.—ჩვენ ღელა-შენ-
საც მათეულით, თქვა კოლინმა და რაც შეეხება
მამა-შენს, რომელიც ეხლა ციხეშია, დავიცადოთ პა-
ტარა; მის მოვალეები, რა-კი მიხედებიან, რომ მას

ვალის გადახდა არ შეუძლია, ცოტას დაქაჯოთილდე-
ბიან. სუყველაფერის გაკეთებას მე ვტვირთულობ.“

კოლინი იმდენი ეცადა, რომ მამა ციხითგან გა-
მოიყვანა, ჟანოტი თავის მშობლებით სამშობლოში
დააბრუნა და ხელობას მიუჩინა.

ჟანოტმა შეერთო კოლინის და, რომელიც სი-
კეთითა ძრიელ ჰგავდა თავის ძმას.

ჟანოტებმა—ღედამ, მამამ და შეილმა იგრძნეს,
რომ ბედნიერება სამდიდრეში რადი ყოფილიყო.

3. ყიფიანი.

რედაქტორ-გამომცემელი ვ. აბაშიძე.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა ნ ი

ღელა-ენა

ანუ ანბანი და პირველი სა-
კითხავი წიგნი, მასშობა ბამოსება, შეცვლილი
და შევსებული, დაიბეჭდა და ისყიდება გამომ-
ცემელის გრიქუროვის მადაზიაში. ამ ანბანის
გამოცემის ანბანი თითქმის ხელ-ახლად არის
შედგენილი და მასში ჩამატებულია საწერი დე-
დანი, პირველ ხანში სახმარებელი. პირველი
საკითხავი წიგნი შევსებულია ანბანი სავარჯიშო-
ებით, მოთხრობებით, დიქსებით და სურათე-
ბით, გარდა ამისა შეცვლილია რედაქცია ზო-
გიერთა წინანდელი მოთხრობისა და დიქსები-
სა. წიგნის მეორე—სადმართო ნაწილი იპყრობს
პირველის წლის გურსსა ორივე ადოქმას მო-
თხრობისას, სურათებ ს. სადმართო მოთხრობები
თავდება წმიდა ნინოს ცხოვრების და მოქმედების
მოკლე აღწერით, რომელიც სურათით არის
შემკობილი. წიგნი წინანდელს გამოცემაზე ერ-
თი თაბანი, იუნ 32 გვერდით, დიდია, მაგრამ
ფასი კი შეუცვლელად ერის დარჩენილი. გამომ-
ცემელი გრიქუროვის მადაზია იმყოფება გუკიის
ხიდის უერთან, ბადის პირ-და-პირ. (5—3)